## საქონლის მიწოდებამდე თანხის გადახდისას დღგ-ის ჩათვლა 11108

**ფაქტობრივი გარემოებები**

დღგ-ის გადამხდელი საწარმოები A და B შეთანხმდნენ 1 000 ლარის ღირებულების (დღგ-ის გარეშე) საქონლის მიწოდებაზე.

საწარმო B-მ საწარმო A-ს 2017 წლის მაისის თვეში გადაუხადა 300 ლარი, ხოლო საწარმო A-მ 1 000 ლარის ღირებულების საქონელი მიაწოდა 2017 წლის ივნისის თვეში და გამოუწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სრულ თანხაზე.

საწარმო B-ს საწარმო A-სთვის წინასწარ გადახდილ თანხაზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა არ მოუთხოვია.

საწარმო A-მ წინასწარ მიღებული თანხა - 300 ლარი მაისის თვეში დაბეგრა დღგ-ით (დღგ-ის თანხა 45.7 ლარი), ხოლო დარჩენილი თანხა დაბეგრა მიწოდებისას - ივნისის თვეში - დღგ-ის თანხა 134.3 ლარი (1,000*18%-45.7).

საწარმო B-მ ჩასათვლელი თანხა (180 ლარი) სრულად ასახა ივნისის თვის დეკლარაციაში.

**შეფასება**

სსკ-ის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შეიმციროს გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ჩათვლის დოკუმენტია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

ამასთან, ამავე კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ.დ“ ქვეპუნქტის თანხმად, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი, მაგრამ არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის მომენტისა, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, გარდა ამ ნაწილის „ა.ბ.ბ“ და „ა.ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, A და B საწარმოების ქმედებები მართლზომიერია.

**ღონისძიებები**

როგორც A, ასევე B პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

- *სიტუაციური სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული მიდგომა ვრცელდება ასევე მომსახურების გაწევის მიმართაც*
- *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2017 წლის 14 ნოემბრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით*

**ანოტაცია**
**„საქონლის მიწოდებამდე თანხის გადახდისას დღგ-ის ჩათვლა“ №11108**
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საქონლის მიწოდებამდე თანხის გადახდისას დღგ-ის ჩათვლის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, დღგ-ის გადამხდელი საწარმოები A და B შეთანხმდნენ 1 000 ლარის ღირებულების (დღგ-ის გარეშე) საქონლის მიწოდებაზე.
საწარმო B-მ საწარმო A-ს 2017 წლის მაისის თვეში გადაუხადა 300 ლარი, ხოლო საწარმო A-მ 1 000 ლარის ღირებულების საქონელი მიაწოდა 2017 წლის ივნისის თვეში და გამოუწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სრულ თანხაზე.

საწარმო B-ს საწარმო A-სთვის წინასწარ გადახდილ თანხაზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა არ მოუთხოვია.

საწარმო A-მ წინასწარ მიღებული თანხა - 300 ლარი მაისის თვეში დაბეგრა დღგ-ით (დღგ-ის თანხა 45.7 ლარი), ხოლო დარჩენილი თანხა დაბეგრა მიწოდებისას - ივნისის თვეში - დღგ-ის თანხა 134.3 ლარი (1,000*18%-45.7).

საწარმო B-მ ჩასათვლელი თანხა (180 ლარი) სრულად ასახა ივნისის თვის დეკლარაციაში.

სსკ-ის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შეიმციროს გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ჩათვლის დოკუმენტია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. ამასთან, ამავე კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ.დ“ ქვეპუნქტის თანხმად, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი, მაგრამ არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის მომენტისა, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, გარდა ამ ნაწილის „ა.ბ.ბ“ და „ა.ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, A და B საწარმოების ქმედებები მართლზომიერია.